K 270.914
3

ხარგს კაკაბაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენეალოგია
დიდის ალექსანდრე მეფისა

ტფილისი.

ელექტრო-მბეჭდავი „ნადეუდა“.

1913 წ.

(47.03)
321ბ

სარგის კაკაბაძე

გენეალოგია
დიდის ალექსანდრე მეფისა

63796



Тбилисский Филиал
Библиотека
Имени ЦК ВКП (б)

ტფილისი.

ელექტრო-მბეჭდავი „ნადეჟდა“.

1913 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენეალოგია დიდის ალექანდრე მეფისა.

„ქართლის ცხოვრების“ შედეგისა და ვახუშტის გენეალოგიის მიხედვით დიდი ალექსანდრე მეფე, რომელიც მეფობდა 1412—1442 წ. ითვლება გიორგი მეფის შვილად, რომელიც ვახუშტით მოკლულ იქმნა 1407 წ. „ქართლის ცხოვრების“ შედეგის მიხედვით ამ გიორგის წინამოადგილე იყო მეფე დავით, დიდის ბაგრატისძე. დავითის შემდეგ მეფობდა ძე მისი გიორგი და გიორგის შემდეგ ძე ამისი დიდი ალექსანდრე. ვახუშტიმ რამოდენადმე შეასწორა ეს მძიმე შეცდომა. ბაგრატის სიკვდილის შემდეგ 1395 წ. მან მოათავსა გიორგი მეფის მეფობა. ამ გიორგის სიკვდილის შესახებ ვახუშტის ეპოვნა შემდეგი ქრონიკული ცნობა: „ქრონიკონს 95, ქრისტეს აქეთ 1407, დიდი ომი იყო, მოკლეს მეფე გიორგი თურქთა და ძმა მისი კოსტანტინე მეფედ იქმნა“.*) ამ ქრონიკულს ცნობის მიხედვით ვახუშტიმ შეიტანა თავისს ისტორიაში კოსტანტინეს მეფობა, ხოლო ალექსანდრე, რომელიც 101 ქრონიკონს გამეფდა, ისევ გიორგი მეფის შვილად დასტოვა. შემდეგ, ეს გიორგი მეფე და ძმა მისი კოსტანტინე ვახუშტით ითვლებიან იმ დიდ ბაგრატის შვილებად, რომელიც თემურლენგის თანამედროვე იყო და ქრონიკულ ცნობების მიხედვით 1395 წ. გარდაიცვალა. უკანასკნელ, თვით დიდი ბაგრატ ვახუშტით უნდა ყოფილიყო გიორგი ბრწყინავლის ძის დავით მეფ ს შვილი, რომელიც მისი გამოანგარიშებით ტახტზედ დაჯდა 1360 წელს მამის სიკვდილის შემ-

*) ეწყობულება მკითხველ. ქ. ცნ-ბა, II, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგ. ამის და მიხედვით ვახუშტის მიერ შეკუშავებული გენეალოგიური ტაბულა XIV საუკ. მეორე ნახევრისა და მე-XV საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს მეფეებისა შემდეგ ნაირად გვეხატება:



ახლა ჩვენ შეეცადოთ გადავსინჯოთ არსებულ მასალების მიხედვით ამ გენეალოგიურ ტაბულის სინამდვილე.

თბილისის ქართულ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოების მუზეუმში დაკულია ერთი ჩვენთვის საინტერესო საბუთი, რომელიც შეცდომებით დაბეჭდილი იყო „საქართვ. სიძველეთა“ მე-III ტ. გვ. 434—435. ეს საბუთი წარმოადგენს კოსტანტინე მეფის სიგელს, რომელიც ბოძებულია 1408 წელს — 96 ქორონიკონს, დაწერილია ტყაკზე ზომით $257^{1}/_{2} \times 22^{2}/_{3}$ სანტმ. აი ეს სიგელი სრულიად უკვლელად:

სახელ ითა: ღმრთი[სათა: კოსტანტი]ნესაგან: ბაგრატონიანისა: ძის[ა:] ბაგრატისა: და:ძეთა: ჩუენთა:-[სასურ]ვეთა: ალექსანდრე: ბაგრატ: და:-[გიორ]გისაგან: ნებითა: ღთისათა:- აფხაზთა: ქართველთა: რანთა: კახთა: და: სო[მეხთა:] მეფეთა: შარვანშა: და შანშე:-[და] ყოვლ ისა: აღმოსავლეთისა: საქართველო[სა:] და ჩრდილოეთისა: ლიხთიმერისა: და ლიხთა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერისა: კე[ლმ]წიფედ: თუით: მფლობელ: მპყრობელთასა:
მოვიდეს: წ~ე: ჩუენსა: ცირლილასძენი: დიდისა: გენათისა: და:-
ცათა: მობაძავისა: ახლისა: იერუსალიმისა: მელუინეთ: უხუცესი:
ნავროზ: მისნი:- ბიძანი: და ძმანი: ვარდან: შალვა: ივანე: ღუ-
ღუნაი: ესტატე: გუეაჯეს: და მოგუაკსენეს: რათამცა: ერთგუ-
ლობა: ნამსახურთა: მისთა: სანაცლოდ: სიგლითა: ამით: შეგუე-
წყალა: პაპთა: ჩუენთაგან: ძუელადა: შეწყალებულნი: სასი-
სხლოთა: სიგლითა: და ღასხმულნი კელდასმათ: ძმისა: ჩუენისა:
მეფისა: გიორგის: სიკუდილისა: შედეგად: მათითა: ავკაცო-
ბითა: კურსებმან: ძუელი: სასისხლო: სიგელი: დაუწვეს: და
წაუხდინეს: დაგუაჯ[ერა:] ღმერთმან: ვისმინეთ: ჰჯა: და: მოკ-
სენება: დიდად: კართა: ჩუენთა: ზედა: დაზრდილთა: და ნამ-
სახურთა: და დიდისა: მონასტრისა: ახლისა: იელუსალიმისა:
გენათისა: მელუინეთ: უხუცესისა: ნავროზისი: მისთა: ძმათა: და
ბიძათა: ცირლილასძეთა: ვარდანისი: შალვასი: ივანესი: ღუღუნა-
ისა: და ესტატესი: შევიწყალეთ: და მიუბოძეთა: ახლად: ძუელი:
იგივე: სისხლი: პაპთა: ჩუენთაგან: გაჩენილი: ასოკი ათასი:
ძველი: თეთრი: მისითა: დასამსმელო: სანახშიროთა: ჰქონ-
დეს: სასისხლო: სიგელი: ესე: ცირლილასძეთა: მელვინეთ:
უხუცესსა: ნავროზს: ვარდანს: შალვას: ივანეს: ღუღუნასა:
და: ესტატეს: მათთა: შვილთა: და სამშობლოთა: და: სახ-
ლის: შვილთა: და მომავალთა: ყოველთავე: ბ~ბა: და სიგე-
ლი: ესე: სასისხლო: აწ: ვინცა: ჰნახოთ: ბ~ბა: და სიგელი
ესე: ჩუენგან: ბოძებული: კარისა: ჩუენისა: ვაზირთა: ერის-
თავთ: ერისთავთა: მანდატურთ: უხუცესთა: დადიანთა: ათა-
ბაგ: ამისპასალართა: სუანთ: ერისთავთა: გურიელთა: ქარ-
თლის: ერისთავთა: დიდებულ: აზნაურთა: ქალაქთა: ჩუენთა:
ამირათ: ამირათა: მეჭურჭლეთა: და მეჭურჭლეთ: უხუცესთა:
ციხისთავთა: და ყოველთავე: ჩუენთა: კელის: მქონებელთა:
დიდთა: და მცირეთა: დაუმტკიცეთ: და ნუ ვინ: უშლით:
ბრძანებასა: და სიგელსა: ამას: და: ნუცარასვინ: დაკლებთ:
ნუ: დიდთა:და: ნუ: მცირესა: თუნიერ: თანა: დგომისა: და:
შეწევნისა: და თქუენ: წმიდანო: მეუფენო:- აფხაზეთისა: და:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლისა: ქათალიკოზნ: და ყოველთავე: მღდელთ: მოძღუარნ: დაჯერებით: დაუმტკიცეთ: დაიწერა: ბ᾽ბა: და სიგელი: ესე: ჩუენი: ინდიკტიონსა: მეფობისა: ჩუენისასა: წელსა: მესამესა: ქრონიკონსა: ჟვ: ივნისსა: და: კელითა: მწირველისა: ჩუენისა: გურგენისითა:

ხელის მოწერა: ქ:-კოსტანტინე:. ნებითა ღმრთისათა.
ქ:-მეფე. მე: ალექსანდრე:. მოწამე:. ვარ.

ამ სიგელში მოხსენებულია კოსტანტინე მეფის სამი შვილი—ალექსანდრე, ბაგრატ და გიორგი. ეს ალექსანდრე არის შემდეგ დროინდელი მეფე, მცხეთის ალმაშენებელი, რომელსაც, როგორც ცნობილია, მართლაც ყავდა ძმები ბაგრატ და გიორგი*). კოსტანტინე მეფე ამ სიგელში იხსენებს თავისს წინამოადგილეს და ძმას გიორგი მეფეს, რომელიც ამგვარად ბიძა იქნებოდა ალექსანდრე მეფისა და მისი ძმებისა. ამას ამტკიცებს ერთი 1447 წლის სიგელი ალექსანდრე მეფის შვილის გიორგი IX-ს მიერ ბოძებული**), სადაც გიორგი IX ამბობს: „აჰა ესე რა მოწევნულ იყო საშინელება და რისხვა საშინელებით აღძრული, მსგავსი ცოდვათა ჩუენთა და ჟამსაპაპის ძმისა ჩუენისა მეფეთა მეფისა გ᾽გისსა და მეფობასა და პატრონობასა შინა მისსა მოსრულიყო უსჯულოებით აღძრული და ყოვლისა ქუეყანისა მაოკრებელი.... უსჯულო თემურ ... საყდარი მცხეთა დაექცია“. ეს ცნობა, სადაც გიორგი IX, ალექსანდრეს ძე, გიორგი VIII-ს უწოდებს თავისი პაპის ძმად, სრულიად ეთანხმება ციროლილასძეთა სიგელის ცნობას. ამ გვარად საბოლოოდ ირკვევა, რომ ალექსანდრე მეფის მამა ყოფილა კოსტანტინე და არა გიორგი. ახლა უკვე ცნობილია, რომ ალექსანდრე გამეფდა

*) ქრონიკ. II 144, 221, 226.

**) ჩემი გამოცემა—მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, ბოძებული გიორგი IX-ს მიერ 1447 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1412 წ. 11—19 სექტემბერს*). მამა მისი კოსტანტინე კი ვახუშტის მიერ პოვნილ ქრონიკის მიხედვით უნდა გამეფებულიყო 95 ქორონიკონს (=1406—1407 წ. 1 სექტემბ). ცირლილასძეთა სიგელი ასწორებს ამ ქრონიკის თარიღსაც. სახელდობრ, 4 ივნისს 1408 წ. ყოფილა მესამე ინდიკტიონი კოსტანტინეს მეფობისა, მაშასადამე კოსტანტინე გამეფებულა არა უადრეს 1405 წ. 5 ივნისისას და არა უგვიანეს 1406 წ. 3 ივნისისას. ვახუშტის მიერ პოვნილ ქრონიკაში, ალბად, ერთწლოვანი შეცდომა იქნებოდა და ამიტომ კოსტანტინეს გამეფება საფიქრებელია 1405 წლის დასასრულს ან 1406 წ.

ცირლილასძეთა სიგელი კიდევ იმით არის საინტერესო, რომ ადასტურებს ვახუშტის ქრონიკის ცნობას გიორგი და კოსტანტინეს ძმობის შესახებ. გარდა ამისა, კოსტანტინე სიგელში წოდებულია ბაგრატის ძედ. მაშასადამე როგორც გიორგი მეფის, ისე კოსტანტინე მეფის მამა ყოფილა ბაგრატ. ვახუშტიც ამ მეფეების მამად სთვლის ბაგრატს, რომელიც ჩვენს ისტორიაში ცნობილია დიდად და რომელიც ქრონიკულ ცნობების მიხედვით 1395 წ. გარდაიცვალა. მაგრამ ზოგიერთი გარემოება თითქოს ამგვარ აზრის წინააღმდეგი უნდა იყოს. სახელდობრ, დანამდვილებით ცნობილია, რომ ამ დიდი ბაგრატის ცოლს ერქვა სახელად ანნა. ეს ბაგრატ მეფე და ანნა დედოფალი დაატყვევა ლანგთემურმა 1385 წ. ტფილისის აღების დროს, როგორც ეს დანამდვილებით ცნობილია როგორც ქართულ, ისე უცხო წყაროებიდან. ეს ანნა დედოფალი იყო ასული ტრაპეზუნტის მეფის ალექსი III-სა (1349—1390) და მითხოვდა „ივერიისა და აფხაზეთის“ მეფეს ბაგრატს, მიქაელ ფანარეტის ქრონიკის მიხედვით, 1367 წელს.**) ანნა დედოფალს ყავდა ძმა მანოელ III მეფე (1390—1417), ხოლო ამ მანოელის შვილისშვილმა იოანემ ცოლად შეირთო საქართველოს მეფის ალექსანდრეს ქალი, რომლის

*) ჩემი—დიდის ალექსანდრეს გამეფების თარიღი.

**) Трапез. хрон. Панарета, изд. Хаханова, 37.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელი ცნობილი არ არის.*) რაკი მიღებულის სქემით, ალექსანდრე მეფე შვილისშვილია ბაგრატ მეფისა (†1395), რომლის ცოლი იყო ანნა დედოფალი, მაშინ მივიღებთ შემდეგს გენეალოგიურს ტაბულას:

ალექსი III (1349—1390)

- მანოელ III (1390—1407)
  - ალექსი IV (1417—1446)
    - იოანე IV (1446—1458) — რომელმაც ალექსანდრე მეფის ქალი შეირთო
- ანნა (ბაგრატის ცოლი)
  - გიორგი (†1405)
  - კოსტანტინე (†1412)
    - ალექსანდრე (†1442)
      - № ქალი, ცოლი იოანესი.

ამ ტაბულის მ ხედვით გამოდის, რომ ალექსანდრე მეფე, რომლის ქალი შეირთო იოანემ, და ეს უკანასკნელი მეორე მუხლის ბიძაშვილები ყოფილან. ასეთს ახლო ნათესავებს ეკლესია ქორწინების ნებას არასოდეს არ დართავდა. უკვე ეს მოსაზრება ცხადად გვიჩვენებს, რომ ის ბაგრატ მეფე, რომელიც თემურლენგს ტყვედ ჩაუვარდა და რომელიც გარდაიცვალა 1395 წელს, არ უნდა იყოს მამა გიორგი და კოსტანტინე მეფეებისა და პაპა დიდი ალექსანდრესი. ამას ამტკიცებს კიდევ შემდეგი გარემოება. მიქაელ ფანარეტის

*) იქვე, 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკით, თემურლენგს ბაგრატ მეფესა და ანნა დედოფალთან ერთად ხელთ ჩაუვარდა ძე მათი დავით.*) ერთს თ. ჟორდანიას მიერ ნაპოვნი მოსახსენებელიდან „სჩანს, რომ ბაგრატ მეფეს, გიორგისა და კოსტანტინეს მამას, და მათს დედას ყოლია მარტო ორი ვაჟი—ეს გიორგი და კოსტანტინე**), დავითზე ამ მოსახსენებელში არაფელია ნათქვამი. ცხადია, გიორგისა და კოსტანტინეს არ ყოლიათ ძმა სახელით დავით და მაშასადამე ეხლა კიდევ უფრო მტკიცდება, რომ ბაგრატ-ანნა გიორგისა და კოსტანტინ ს დედმამა არ უნდა ყოფილიყვნენ. ამის და მიხედვით გიორგის გამეფებაც 1395 წელს კი არ უნდა მიეწეროს, არამედ სხვა დროს. ახლა ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, მაშ ვინ უნდა იყოს ის ბაგრატ მეფე, რომელიც ცირლილასძეთა სიგელში კოსტანტინეს მამად არის მოხსენებული და როდის ცხოვრობდა ის. ამ საკითხის გარკვევაში ჩვენ დაგვეხმარება ერთი სიგელი, რომელიც უნახავს მ. ბროსსეს და რომლის შინაარსი ფრანგულად მას დაბეჭდილი აქვს თავისს Histoire de la Géorgie, t. II, l. II, p. 462.

En la 26-e indiction du régne de Giorgi, par le secrétaire Makharebel Thawcbilis-Dzé, en l'année pascale 89—1401.

Le roi Giorgi donne à Phalawand Phalawandichwili, à ses frères Ioané, chef des officiers préposés au vin, et Wardan, ainsi qu' à ses fils Kirkhitha et Sizona, le village ou la terre de Dountha, située à Tchikha. Cet acte est fruste des premières lignes, en sorte que l'on ne connait le nom du roi donateur que par les apostilles, où il est rappelle'. Ces apostilles, au nombre de quatre, rédigées dans les termes presque identiques, sont: l'une du catholicos de Karthli Elioz; la 2-e, de l'archevêque Giorgi; la 3-e, de Iowane Mrowel ou évêque de Rouïs; la 4-e, de l'archevêque Pha-

*) იქვე 43

**) ქრონიკები II, 247

ეროვნული ბიბლიოთეკა

noël de Kuothaïs; ce qui donne à penser que la concession faite à Phalavand était un bien dépendant de l'église et situé quelque part dans l'Imereth, peut-être dans les environs du lieu aujourd'hui nommé Tchikhor, dans l'Argoueth, dont le nom est une contraction de Tchikhaour, provenant du radical tchikha. On sait, du reste, que le monastère de Djroudch dans l'Argoueth était l'ancienne sépulture des Phalawandichwili.

En autre ces apostilles sont précédées d'une autre, en grands caractères vulgaires enchevêtrés:... კოსტანტინე გვიმტკიცებდა ნებითა ღ˜თისათა.... „Nous... Costantiné, nous avons confirme', par la volonte' de Dieu".

სიგელი ამგვარად ბოძებულია გიორგი მეფის მიერ 89 ქორონიკონს (1400—1401 წ. 1 სექტემბ.) მისი მეფობის 26 წელს. სიგელს ამტკიცებს სხვათა შორის კოსტანტინე, რომელიც ცხადია გიორგის ძმა არის. ფალავანდ ფალავანდიშვილი, ვისთვისაც გიორგი მეფეს უბოძებია ეს სიგელი, ის პირი უნდა იყოს, რომელსაც 120 ქორონიკონს (1432 წ.) დაუწერია სასისხლო სიგელი ალექსანდრე მეფის მიერ ბოძებული*.) სიგელის დამმოწმებული ქართლის კათალიკოზი ელიოზ ამ დროს ბართლაც განაგებდა საქართველოს ეკლესიას. ეს სიგელი იმით არის ჩვენთვის საყურადღებო, რომ გვიჩვენებს, გიორგის გამეფებას 1375 წლის ახლოს. ცხადია, მამა მისი ბაგრატ ამ დროს უნდა მომკვდარიყო. ეხლა უფრო ადვილი გასაგებია, თუ რატომ ვანის მონასტრის განგების ერთს მინაწერში 81 ქორონიკონს (1392—1393 წ. 1 სექტემბ.) მოხსენებულია, რომ მინაწერი დაიწერაო „მეფობასა გი˜ჲ" (გიორგისსა**): აქ იგულისხმება საქართველოს მეფე გიორგი VIII,

*) ამ სიგელის ფრანგული თ რგმანი დაბეჭდა მ. ბროსსემ Bullet. sceintif. t. IV 1838, p. 268—272.

**) ისტორ. საბუთები შიომღვ. მონასტრ., 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც 1375 წლიდან ტახტზედ იჯდა.

მაგრამ მოპოებულ თარიღით საკითხი გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება, რადგან ერთ მნიშვნელოვან ისტორიულსაბუთის მიხედვით, მე-XIV საუკ. მეორე ნახევარში სჩანს გიორგი მეფე, აგრეთვე საქართველოს მეფე, რომლის ინდიქტიონის ანგარიში ეწინააღმდეგება გიორგის VIII-ს ზემო გარკვეულ ქრონოლოგიას. ეს საბუთი, უკვე კარგად ცნობილი ლიტერატურაში (მ. ბროსსე, თ. ჟორდანია), არის მცხეთის სიგელი № 38, დაწერილი ქალალდზე. თავი აკლია და რაც დარჩენილია იმისი ზომა უდრის 227 29 X სანტმ. თავი სიგელისა მე აღვადგინე სხვა მა-XV საუკ. გუჯრების მიხედვით, რომელთაც იმ გვარივე ღვთის მეტყველური შესავალი აქვთ, როგორც ქვემოდ მ-ყვანილს. აი ეს სიგელი სრულიად უცვლელად:

[ქ: რომელი:. არს:. და:. რომლისა:. მიერ:. ძალით:. ექმნეს:. ყოველნი:. ალნაგნი:. არ!ისა:. არსთა:. უცვალებელისა:. უსაზღუროსა:. ძალგანუზომელისა:. გარე:. შემოუწერელისა:. ხოლო:. მიუწდომელობით:. ცნობილისა:. რომელსა:. ძალნი:. უკორცოთანი:. თუენიერ:. გარეშე:. მისსა:. სახიერებითა:. ვერ:. მისწუთებიან:. ცნობად:. და:. თუალთ:. შედგმად:. რომელსა:. ცანი:. ვერ:. დაიტევენ:. და:. წესნი:. ანგელოზთანი:. უძრწიან:. რომელსა:. ქუეყანა:. ვითარცა:. გუგა:. ეგრეთ:. შემოუწერია:. უსაზღვრო:. განუცდელი:. და:. გარე:. შემოუწერელი:. ურაბამო:. ურაულო:. ყოველგან:. მყოფი:. და:. ყოველთა:. მხედი:. მბადი:. და:. წარმომაარსებელი:. ყოველთა:. ყოფილთა:. და:. ყოფადთა:. ეჰა:. ვითარ:. კ!ნისათუის:. ჩუენ:. ცოდვილთასა:. საშოსა:. შენსა:. უთესლოდ:. და:. უხრწნელად:. შეურევნელად:. და:. შეუგინებელად:. დაიტია:. და]უტევნელი:. ცათა:. და:. ქუე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანისა: · და: . თბითა: · კაცობრივითა: · შემოსილ
იქმნა: · რომელმან: · წამის ყოფით: · დაჰბადნა: · ყოვე-
ლნი: · ალნაგნი: · ვითარ: · მონათა: · თანა: · შერაცხი-
ლად: · შევ: · ვიტყუი: · ღ᾽ თეებასა: · და: · კაცებასა: ·
ორითა: · ბუნებითა: · სრულითა: · რომლისა: · შობასა: ·
ანგელოზნი: · ვითარცა: · ღ᾽თსა: · მოგუნი: · ვითარცა: ·
მეუფესა: · ვარსკულავნი: · ვითარცა: · [დამბადე]ბელსა: · ერ-
ნი: · ვითარცა: · მეუფესა: · და: · მწყემსნი: · ვითარცა: · მო-
ნასა: · მსახურებდეს: · რომელსა: · ევნებოდა: · ვითარცა: ·
კაცსა: · და: · თავს იდვა: · ჩუენ: · ცთომილთა: · თუის: ·
შიმშილი: · წყურილი: · ნავლულისა: · სუმა: · ყურიმლის
ცემა: · და: · სამსჭუალთა: · მიერ: · გუერდსა: · მოწყლვა: ·
აჰა: · რომლისა: · მიერ: · აღიკოცა: · ყოველივე: · მო-
მყუირტოვნება: · და: · უსჯულოება: · ცხედარო: · სოლო-
მონისო: · ა[სულო]: · დავითისო: · რომელი: · შეყუარე-
ბული: · იქმნა: · ძისაგან: · შენისა: · რომელი: · ეგე: ·
ადამს: · ემა[მე]: · და: · დედა ექმენ: · ევას: · დედაო
და: · ქალწულად: · მშობელო: · ემმანოელისო: · [რ]ომელი: ·
ეგე: · სამწლის: · მიყვანებულ: · ექმენ: · ტაძრად: · ტაძარო: ·
სულისა: · წმიდისაო: · მახარებელო: · ევას: · ნაშობთა: ·
ბრალეულთაო: · ბნელისაგან: · წყუდიადისა: · ნათლად: ·
მომყვანებელო: · არა: · მუცლით: · ქალწულო: · გარნა: ·
სულისა: · მიერ: · წ[მიდისა: · ნათ]ლად: · მოცემისა: ·
და: · ჩუენდა: · ზღუდედ: · გამორჩეულო: · წარმმართებე-
ლო: · მეფობისა: · ჩუენისაო: · დიდებაო: · და: · სიმტკი-
ცეო: · სკიპტრა: · პორფირისა: · და: · გუირგუინისა: ·
ჩუენისაო: · საშინელო: · მეტეხთა: · ხახულისა: · და: ·
ვარძიისა: · ღ᾽თისმშობელო: · მეოხებითა: · და: · შუა-
მდგომელობითა: · თქუენითა: · მკადრებელმან: · და: · მსა-
სოებელმან: · ძისა: · თქუენისამან: · და: · მონდობილ-
მან: · ცვა: · ფარვათა: · თქუენთამან: · განმაერთებელ-
ღან: · ლიხთ იმერისა: · და: · ლიხთ ამერისამან: ·

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორისავე: სამეფოს: მტკიცედ: და: შეურყეველად: მპყრობელმან: აფხაზთა: და: ქართველთა: მეფემან: გ᾽ გი: რაოდენი: ქება: და: მადლობა: შევსწი- რო: შენდა: მომართ: ვითარი: ქველის: საქმე: ვქმნე: წინაშე: ძისა: შჯნისა: ჩემდა: მომართ: ესრეთ: წყალობა: აურაცხელისა: ვითარცა: ესერა: დღეს: ბრწყინვენ: ოთხნივე: კედარნი: მეფობისა: ჩუენისანი: და: შეწევნითა: და: წინამძღურებითა: ძელისა: ცხორებისათა: აგარის: ნათესავნი: და: მტერნი: და: წინა: აღმდგომნი: ჩუენნი: სამარადი- სოდ: ლტოლვილ: და: უკუნქცეულ: არიან: არამედ: მეცა: ვიგემე: და: ვცან: მოწყალება: ძისა: შენი- სა: ვითარ: შეიწირნა: მწუალნი: იგი: და: ჩუენ- ცა: არა: სასო: წარკუეთილ: ვიქმნენ: ით: და: რა- დმცა: უკუილაგმა: გონება: ჩუენი: სამსახურებე- ლად: სუეტისა: ღ᾽თივ: აღმართებულისა: და: ვითა: სამართლად: გუმართებდა: ეგრეთ: ჯერ: გუიჩნდა: გულსმოდგინებით: კელვყავთ: და: გამოწუალვით: ვიძიეთ: და: ვცანით: რომე: სულკურთხეულთა: პაპთა: და: მამათა: ჩუენთა ძუელთაგან: სურვი- ლით: და: წადიერებით: შეწირული: ქუეყანა: მე- ტეხნი: საქმეთა: რათმე: შემოსრულობისაგან: და: ჟამთა: შლილობა: ქცევისაგან: ხან: რაოდენმე: შეცულოდა: და: აღარა: ჰქონდა: და: აწ: მან- ვე: ჯერჩინებელმან: წყალობისამან: გულისკმა: გუ- იყო: ღუწა: სულისა: ჩუენისა: და: აწ: ახლად: ამა: სიგლითა: დაგიმტკიცეთ: და: მოგაკსენეთ: თქუენ: წინათვე: წინასწარმეტყუელთაგან: მოსწავებულ- სა: ქრისტიანეთა: განმანათლებელსა: ქათოლიკე: ეკლესიისა: აღმავსებელსა: სუეტსა: ღ᾽თივ: აღ- მართებულსა: კუართსა: საუფლოსა: რომელი: იქსო- ვე: კელთაგან: ყოვლად: უხრწნელთა: და: მირონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა: · ღმერთმყოფელისა: · ქუეყანა: · მეტეხნი: · მისითა: · მიმდგომითა: · მთითა: · ბარითა: · წყლითა: · წისქუილითა: · ველითა: · ვენაკითა: · ჭალითა: · სათიბითა: · შესავლითა: · და: · გამოსავლითა: · საძებრითა: · და: · უძებრითა: · და: · მისითა: · სამართლიანითა: · მზღვრითა: · რაც: · და: · რისთანაც: · მისი: . არის: · ყუელათა: · უკლებად: · და: · ვითა: · აღარავინ: · ღირსა: · აგრე: · უცილებლად: · ყოვლისა: · კაცისაგან: · მოგაკსენეთ: · და: · ახლად: · შემოგწირეთ: · თქუენ: · დიდ'ა: · და: · ცათა: · მობაძავსა: · ახალსა: · იერუსალემსა: · და: · საკუიდრებელსა: · ჩუენსა: · მცხეთას: · დედა: · ქალაქსა: · ქართოლიკე: · ეკლესიასა: · და: · მასშინა: · სუეტსა: · ღ~თივ: · აღმართებულსა: · კუართსა: · საუფლოსა: · და: · მირონსა: · წ~დასა: · წარსამართებლად: · მეფობის : · ჩუენსა: · და: · ნუგეშინის: · საცემელად: · სულისა: · ჩუენისა: · დღესა: · მას: · საშინელსა: · და: · ზარის: · საკდელსა: · რაითა: · გუიოხო: · წინაშე: · მსაჯულისა: · და: · დაგუიცვნე: · ორკერძოვე: · მტერისა: · საფრკეთა: · და: · ყოველთავე: · სავნებელთაგან: · და: · გავიჩინეთ: · აღაპი: · ივნისსა: · ათორმეტსა: · დღესა: · ონოფრობასა: · რაითა: · ყოვლითურთ: · უნაკლულო: · აღაპი: · გარდაიკდებოდეს: · ვიდრე: · გებადმდე: · ჟამთა: · მიუკუნისამდე: · და: · ეჰა: · თქუენ: · წ~დაო: · მღდელთ: · მთავართ: · მთავარო: · პატიოსანო: · მიმსგავსებულო: · და: · თანა: · მერაბამეო: · წ~დათა: · მღდელთ: · მოძღუართა: · ბასილის: · და: · გრიგოლისო: · ქართლისა: · ქ~კზო: · გიორგი: რაგუარაც: · ჩუენგან: · ასრე: · სასოებით: · მოკსენებულსა: · და: · ახლად: · დამტკიცებულსა: · და: · თქუენსა: · მონდობილსა: · გმარიოებს: · აგრე: · ივნისსა: · ათორმეტსა: · ონოფრობასა: · დღესა: · თქუენ: · და: · ვინცა: · თქუენსა: · წინაშე: · მღდელნი: · და: · დიაკონნი: · იყუნენ: · წირვითა: · და: · ერნი: · ლოცვითა: · ყოვლითურთ: · აღსავსესა: · და: · უნაკლულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა: · აღაპსა: · გარდაიკდიდით: · და: · ვევედრები: · შემდგომად: · თქუენსა: · ვინც: · კათოლიკე: · ეკლესიისა: · მპყრობელნი: · ქალალიკოზნი: · იყუნენ: · და: · მას: · შინა: · დამკუიდრებულთა: · მღდელ: · მონაზონთა: · რაითა: · ესე: · ჩუენგან: · გულსმოდგინებით: · ნალაწი: · არავინ: · დაგუაკლოს: · და: · თუ: · ვინ: · დაგუაკლოს: · დამცაკლდების: · სასუფეველისაგან: · ცთასა: · ბრწყინვალებასა: · წ(

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფობი!ა: მათისა: ჩუენ: ქრისტეს: ღ~თისა: მიერ:
გ~გი: გლახაკი: ქართლისა: ქ~კზი: კანონითა: ვამ-
ტკიცე!ოთ: შემცვალებელნი: ამი!ნი: იყუნენ: კრულ:
წყეულ: და შეჩუენებულ: ვინც: და რამანც: გუარი-
სა: კაცმან: იკადროს: და მოიგონოს: ამა: მეტეხ-
თა: გამოკუებაი: წ~ასაგან: კათოლიკე: საყდრისა:
და ჩემ: გლახაკისა: ჰრისხავსმცა: მამაი: ძე: და სუ-
ლი: წდაი: კურულმცა: არის: ცათა: შინა: და
ქუეყანასა: ზედა: მკუდარი: და ცოცხალი: მისი:
კურულმცა: არის: ხუთთა: პატრიაქთა: ჯუარითა:
შუიდთა: კრებათა: მაღლითა: ათორმეტთა: მოციქულ-
თა: ჯუარითა: ოცდა: ოთხთა: წინასწარმეტყუელთა:
მადლთა: წ~დათა: მღდელთ: მოძღუართა: ჯუარითა:
რომელმანც: კაცმან: იკადროს: გამოთხოად: და საყ-
დრისა: დაკლებად: მეტეხთა: კრულმცა: არს:
კაცი: იგი: ყოველთა: წმიდათა: ზეცისა: და ქუეყა-
ნისათაითა: შემცა: ედენის: ძრწოლა: კაენისი: კეთ-
რი: გაეზისი: შიშთვილი: იუდასი: დანთქმაი: და-
თან: და აბირონისი: გნმცა: ვრდომილარს: დიდები-
საგან: ღ~ერთისა: ვითარცა: ეშმაკი: ანგელოზთაგან:
იუდა: მოციქულთაგან: და არიოზ: მართლ: მადიდებელ-
თაგან: და წყევაი: იგი: ასდამერვისა: ფსალმუნისაი:
დაბალამ: ბოსორელისაი: მას: და: სახლსა: მისსა:
ზედამცა: დაესრულების: აწ: თქუენ: წ~ნო: და პა-
ტიოსანნო: მღდელთ: მოძღუარნო: საქართველოისა:
სამცხისა: და: შავშეთ: კლარჯეთისანო: დაკრუ-
ლეთ: შეაჩუენეთ: კაცი: იგი: და წ~დანო: ღთშემო-
სილნო: მეუდაბნოენო: საქართველოისა: და სამცხისა-
ნო: თქუენცა: დაკრულეთ: ჩეაჩუენეთ: კაცი: იგი:
რომელმან: იკადროს: დაკლებაი: და გამოთხოვაი: ამი-
სი: კრულ: წყეულ: და შეჩუენებულ: მადლითა:
კათოლიკე: ეკლესისაითა: და მას: შინა: ღ~თივ:

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Библиотека при ЦИК ГССР

ალმართებულისა:· სუეტისა:· ცხოველისა:· კ~ართისა:· საუფლოისა:· და მირონისა:· ღ~თ:· მყოფელისაითა:· და ჩუენ:· ვლახაკისა:· ჯუარითა:· დამამტკიცებე~ნი:· ღ~თნ:· აკურთხნეს:· და წ~დან:· დედაქალაქმან:·

ეს სიგელი ბოძებულია 1393 წ. 5 ივლისს გიორგი მეფის მიერ მისი მეფობის მე-24 ინდიკტიონს. მაშასადამე ეს გიორგი მეფე გამეფებულა 1369—1370 წ. ივლ. გიორგი მეფე სიგელში თავისს თავს ეწოდებს განმაერთებელს ლიხთიმერისა და ლიხთამერისას, ორისავე სამეფოს მპყრობელს. გარდა ამისა ის ამბობს: „გამოწულილვით ვიძიეთ და ვცანით, რომე სულკურთხეულთა პაპათა და მამათა ჩუენთა ძუელთაგან სურვილით და წადიერებით შეწირული ქვეყანა მეტეხნი.... ხან რაოდენიმე შესცულოდა და აღარა ჰქონდა“ (სვეტი ცხოველსო და ხელახლად შევსწირეთო). ეს ადგილი გვიმტკიცებს, რაკი მეტეხი ქართლშია, რომ ამ გიორგი მეფის მამაპაპანი ქართლის ბატონები ყოფილან, უკედ ვსთქვათ გიორგი მეფე აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენელია. მამა მისიც სულკურთხეულად მოხსენებულია, მაშასადამე 1393 წ. მკვდარი ყოფილა. ეს გიორგი მეფე რომ სხვა პირია და არა ის გიორგი VIII, რომელიც 1375 წ. გამეფდა, ეს ცხადია იმ გარემოებიდანაც, რომ ამ ორი გიორგის ხელის მოწერა დიდად განსხვავდება ერთი მეორისაგან.*) გამეფების წელიწადიც ორივე გიორგისა სხვა და სხვა. გიორგი მეფე, 1393 წ. სვეტიცხოვლისათვის მეტეხის შემწირველი, ეჭვს გარეშეა აღმოსავლეთ საქართველოს დინასტიას ეკუთვნის. გიორგი VIII ფლობს მთელს საქართველოს, მაგრამ რომელს დინასტიას, აღმოსავლეთისას თუ დასავლეთისას (აფხაზეთისას) ეკუთვნის იგი? აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გიორგი VIII-ს საბუთებიდან სჩანს, რომ მის დროს დასავლეთ საქართველოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ

*) გიორგი VIII-ს ხელის მოწერა მე მინახავს მცხეთის № 56 1399 წლის საბუთში და მცხეთის № 169 1398 წლის სუნდულიძეთა გუჯარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში მეტი მნიშვნელობა ქონია ვიდრე აღმოსავლეთს. ამას ამტკიცებს სხვათაშორის ერთი საბუთი, რომლის პირი მე ვიპოვე პეტერბურგის აზიურ მუზეუმში ბროსსეს ნაქონ ქაღალდებში. პირი ცუდად გადაწერილია და ამიტომ შესაფერ შესწორებით ვბეჭდავ.

ქ სახელითა ღმრთისათა დავითიანმან მეფემან გიორგიმ ბაგრატონიანმან ნებითა ღმრთისათა მეფემან შარვანშთა, შაანშე, რანთა, კახთა, ბერძენთა, სომეხთა, სვანეთისა, აფხაზეთისა, ჩრდილოეთისა, ყოვლისა საქართველოჲსა ლიხტიმერეთისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ყოველ მპყრობელ მფლობელმან მეფემან. აწი მოვიდა მოლარეთ უხუცესი ქველი ჭილასძე დიდად ერთგული და ნამსახური, ჩვენისა მოლარეთ უხუცესისა ქველისა ჭილასძისა აზნაურისშვილი გუგუნავა კაკუე და მისნი შვილნი----და რატი. მათ შვილთა და მომავალთა ყოველთა გვეაჯეს და მოგუაკსენეს ერთგულება მათი და ნაჲსახურთა მათთა სანაცულოდ სიგელი მათი შევიწყალეთ და პირველი მათი სიგელი, სისხლი მოვიკითხეთ და ძველთა მეფეთაგან იყო გაჩენილი და აწი ჩვენც გაუახლეთ და გაუჩინეთ გუგუნავას კაკუეს მისთა შვილთა და მათთა მომავალთა ყოველთა გაუჩინეთ სიგელი სასისხლო. ვისაცა შეუვიდეს გუგუნავა და მათი ჩამომავალი დაგეაჯებოდეს სრული სისხლი ასი ორმოცი ათასი თეთრი ცხუმური*), თეთრი ჯორი, თეთრი ქორი მისითა ბაზიარითა, ოცი ათასი სანახშირო, სამი ათასი გერში დაგეაჯებოდეს. ვინაც სადაო და სამსჯავრო საქმე უყოს, ანუ კელი დაუშავდეს, ანუ ფეკი დაუშავდეს, ანუ წინა კბილი ჩააგდებინოს, თექუსმეტი ათასი თეთრი დაგეაჯებოდეს. ვინცა თვალი წამოაგდებინოს, თექუსმეტი ათასი თეთრი დაგეაჯებოდეს. ვინცა გაუპატიოსნოს და გაძარცოს ანუ შეარცხვინოს, ათი ათასი თეთრი დაეაჯებოდეს. ვინცა ბატონს შეაბეზღოს, სრული სისხლი დაეაჯებოდეს. ვინცა ცოლი დაუცთინოს, თერთმეტი (sic) ათასი თეთრი დაეაჯე-

*) ნამდვილში ცხ ვ ა რ ი სწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდეს, ამისთვის რომ ორი სიკვდილია. ვინცა ცოლი დაუორსულოს, ორმოცდაათი ათასი თეთრი დაეაჯებოდეს. ვინცა ქალი დაუგდოს, რომ დასაგდები არ იყოს, ჩვიდმეტი ათასი თეთრი დაეაჯებოდეს. ვინცა სასახლეში ჩაუხთეს, ოცდა ათი ათასი თეთრი დაეაჯებოდეს. ვინცა ისინი აგინოს, რომ არ ჭირდეს, ცხრა ათასი თეთრი დაეაჯებოდეს. ვინცა სასახლე დაუწვას, ორმოცი ათასი თეთრი. ვინცა ეკლესიას ეშულლოს, შვიდი ათასი დაეაჯებოდეს. ვინცა ჯოგი გაუტეხოს ანუ გაუსხა, ოცდათორმეტი ათასი თეთრი დაეაჯებოდეს. გუგუნავას კაკუეს და მათთა შვილთა და მათთა ყოველთა ასორმოცი ათასი თეთრი ცხუმური, თეთრი ჯორი, თეთრი ქორი მისითა ბაზიარითა დაეაჯებოდეს გუგუნავას ყოვლისა ადამისა ტომისაგან მიზეზ მოულებელად. პირველი ძველი მეფეთაგან გაჩენილი აწი ჩუენცა ახლად გაუახლეთ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ გუგუნავას სიგელი ესე. ამისა დამხთომად და მოწამედ არიან ჩვენი სიძე ამირეჯიბი ჩიჯავაძე კახაბერი, რაჭის ერისთავი აღბუღა, მესტუმრე ლომინაძე გუნებითი (sic) ჯავშანა, ქართლისა კათალიკოზი, ჩვენი დარბაზის ერნი ყოველნი. მე დემეტრეს მარკოზის შვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისა.

(ხელის მოწერა.)

ამ სიგელში, რომელიც ფრიად ცუდად გადმოწერილია, მოხსენებულია მეფის სიძე ამირეჯიბი ჩიჯავაძე კახაბერი, რომელსაც ცოლად ყავდა გიორგი VIII-ს და ულუმპია*). ჩიჯავაძე დასავლ. საქართველოს დიდებულთაგანია. მესტუმრე ლომინაძე, მოლარეთ უხუცესი ჭილაძე აგრეთვე დასავლ. საქართველოს მკვიდრნი არიან. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ კოსტანტინე მეფის მიერ 1408 წ. ბოძებულ ცირლილასძეთა სიგელში მოხსენებულია მანდატურთუხუცესი დადიანი და სვანთა ერისთავი გურიელი. ეს ფაქტები ცხადად გვიჩვენებს, რომ XIV საუკ. მეორე ნახევარში და მე-XV საუკ.

*) ქრონიკ. II 213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისში პოლიტიკური სასწორი დასავლეთ საქართველოსაკენ იყო გადახრილი. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება, დინასტიური მიზეზებით თუ რაიმე სხვა პირობებით? რომ დინასტიური მიზეზები აქ არაფერს შუაშია, ეს ცხადად სჩანს იმ გარემოებიდან, რომ გიორგი VIII და ძმა მისი კოსტანტინე, აგრეთვე დიდი ალექსანდრე მეფე ყოფილან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენელნი.*) ეს ცხადად სჩანს ერთი საბუთიდან, რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე მეფეს და ბოძებულია 119 ქორონიკონს (1431 წ.). ეს სიგელი (მცხეთისა № 23) დაწერილია ქაღალდზე ზომით 82×27 სანტმ.**)

ქ: · ჩუენ: · მეფეთ: · მეფემან: · ალექსანდრე: · და: · ანა: · მეცხედრემან: · ჩუენმან: · პატრონმან: · დედოფალთა: · დედოფალმან: · თამარ: · და: · ძ̇ეთა: · ჩუენთა: · ვახტანგ: · დიმიტრი: · გ̇ გი: · და: · ზალ: · ესე: · წიგნი: · მოგაკსენე: · თქუენ: · წმიდასა: · და: · მაღალსა: · ცათა: · მობაძავსა: · დედაქალაქსა: · მცხეთასა: · და: · თქუენისა: · საყდრისა: · მპყრობელსა: · და: · ჩუენისა: · სულისა: · მოძღუარსა: · და: · მეოხსა: · პატრონსა: · კათალიკოზსა: · თეოდორ.ეს: · ვინ · ნეთგან: · თუისთა: · შექმნულთათუის: · კსნად: · მოსრულმან: · მეუფემან: · ჩუენთა: · შთამომავალთა: · და: · გუარტომთა: · განსუენება: · თქუენსა: · წ̇ინშე: · ჯერიჩინა: · და: ვხედავთ: · რომელ: · წუთგანქარვებადსა: · ამას: · სოფელსა: · დაუტეობთ: · და: · ყოველივე: · ცხორება: · ჩუენი: ·

---

*) ამ ორი წლის წინად მე იმ აზრს ვადექი, რომ გიორგი VIII და მისი მოადგ ლ ნი აფხაზეთის დინასტიის უნდა ყოფილიყვნენ და მე-XIV საუკ. მეორე ნახევარში ამ დინასტიას დაეპყრო აღმოსავლეთი საქართველო (ჩემი Черты феодальнаго строя გვ. 11.) მაშინ მე შეცდომაში შემიყვანა იმ გარემობამ, რომ ზოგი ფრიად მნიშვნელოვანი საბუთი მხოლოდ შემოკლებით იყო ცნობილი ლიტერატურაში (თ. ჟორდანიას „ქრონიკებით“).

**) ეს სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი იყო თ. ჟორდანიას „ქრონიკ.“ II, 237—238.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარი: და: აჩრდილებრ:· უჩინო იქმნებისა:· ამადა:· ჩუენ-
ცა:· ვსცანით:· და: ვისაცნაურეთ:· რომელ:· კეთილი:·
და:· უცვალებელი:· ცხორება:· ესე:· არს:· რათა:·
მე:· ცოდვილმან:· ვიდრე:· არა:· სრულად:· წარწყმე-
დად:· და: ამიერ:· განსლვად: ჩემდამდე:· საწყალობე-
ლისა:· სულისა:· ჩუენისა:· საღხინობელად:· ქვეყლი-
სა:· საქმესა:· რასამე:· მქმე:· და:· შემძლებელ ვიქ-
მნე:· და: ამად:· აღმძრა:· სურვილმან:· და:· სიყუა-
რულმან:· აურაცხელთა: წყალობათა: თქუენთა: მოქენეობისა-
მან:· და: ვირჩიე:· მოვრდომად: სახლსა:· მაგას:· ღᲜთისა:· და:
მეუფისა:· ჩემისსა:· და: დამკუიდრებად:· სამკუიდრებელსა:·
თანა:· სულკურთხეულთა: პაპთა:და:· მომავალთა:· ჩუენ-
თათა:· და:· თქუენმიერითა:· შეწევნითა:· და:· ძალ-
მწეობითა: კელვყავთ: ესჯულოთა:· აგარის:· ნათესავთა-
გან:· ჩუენგან:· ძრწოლით:· ძნიად:· საოქუთა: თქუმად-
ცა:· დაქცეულისა:· საყდრისა: და:· სრულიად:· უნგუ-
შენისცემოდ:· განსრულისა:· აწ:· ახლად:· აღშენებად:
და:· განვრცომად:· და: აღვაშენე: და: განსრულდა:·
ნებებითა:· და: ძალმწეობითა:· თქუენითა:· ყᲜდვე:·
უნაკლულოდ:· თავი: ცათა: მობაძავი:· საყდარი:· და:·
მას: შინა:· ღᲜთივ: აღმართებული:· სუეტი:· ცხოველი:·
და: კუალად:· თქუენდა:· მოლტოლვილთა: და:· შემოვედ-
რებულთა:· ჩუენთა: მომავალთა:· და: ჩუენი:· საფლავი:·
და:· ვითარი:· ჯერიყო:· ეგევითარითა:· თავი:· საყდა-
რი:· პატივითა:· და: წესითა:· შევამკევ:· და: ანგელოზ-
თა:· სწორნი:· წმიდანი:· მონაზონნი:· და: მღრდელნი:·
და: მრავალნი:· საკმარნი:· მგალობელნი:· შევკრიბენ:·
და:· რომელ:· ძუელითგან:· შემკობილი: იყო:· და: წეს-
ნი:· და:· აღაპნი: განჩენილნი: იყუნეს:· და:· შესავალნი:·
დაბანი:· და: ქუეყანანი:· ჰქონდეს:· მასზედა: შეუმატეთ:·
და: უმეტესად:· განვავრცეთ:· და:· ჩუენთა:· საფლავთა:·
ზედა:· მიმდემად:· მდგომნი:· მწირველნი:· და: დაუვსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელნი: კანდელნი: განვაჩინენით: და: ვითარ: გუმართებს: და: ჩუენგან: სათანადო: არის: ეგრეთ: კუალადვე: ვინებეთ: შემატება: და: გაზედაება: და: შევსწირეთ: და: მოვაკსენეთ: ძუელითგან: მეფეთაგან: შემკობილი: აღშენებული: და: გადიდებული: მთა: ვირშისა: მონასტერი: და: მისნი: შესაკალნი: ბადასშვილნი: და: ქორდი: და: მასაქათ: ანუ: მთას: და: ანუ ბარს: რაცა: მამულნი: ანუ: გლეხნი: და: ანუ: პარტახტი: და: ანუ: მზღვარი: ჰქონებიან: მისითა: მიმდგამითა: ყანითა: ვენაკითა: წყლითა: წისქუილითა: ჭალითა: სათიბითა: ტყითა: სანადიროთა: მთითა: და: ბარითა: მზღვრითა: საკმრითა: და: უკმრითა: საძებრითა: და: უძებრითა: მისითა: სამართლიანითა: ყუალათა: ერთობ: უნაკლულოდ: მოგუიკსენებია: თქუენ: დიდისა: და: ცათა: მობაძავისა: მცხეთისა: საყდრისათუის: და: თქუენისა: მპყრობელისა: ჩუენისა: სულისა: მოძღურისა: და: მეოხისა: კათალიკოზისა: თეოდორესთუის: მოგუიკსენებია: ძუელითგან: ჩუენითა: მომავალთა: მეფეთაგან: გადიდებული: და: შეკობილი: ვირშა: მთა: და: მონასტერი: და: მისნი: შესავალნი: ქორდი: და: ბადასშვილნი: და: მასაქათ: რაცა: ძუელითგან: მთას: და: ანუ: მამულნი: და: ანუ: გლეხნი: და: ზღვარნი: და: პარტახტნი: ჰქონებიან: ყანითა: ვენაკითა: წყლითა: წისქუილითა: ჭალითა: სათიბითა: ტყითა: სანადიროთა: მთითა: და: ბარითა: საკმრითა: და: უკმრითა: საძებრითა: და: უძებრითა: მისითა: მიმდგამითა: სამართლიანითა: ყუალათა: ყ̆დვე: უნაკლულოდ: მოგუიკსენებია: და: გქონდეს: ყოვლისა: დაბადებულისა: ადამის ნათესავისა გან: მოუდევრად: და: უსარჩელად: ძუელითგან: მეფეთაგან: აღშენებული: შემკობილი: და: გადიდებული: ვირშა: მთა: და: მონასტერი: გქონდეს: თქუენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდსა: · და: ცათა: მობაძავსა: · საყდარსა: · ჩ ენისა: სულისა: · განმანათლებელსა: · მცხეთასა: · და: · თქუენისა: · საყდრისა: · მპყრობ ლსა: · ჩუენისა: სულისა: მოძღუარსა: · კ თალიკოზსა: · თეოდორეს: · და: რაცა სად რა: · ვირშისა: შესავალნი: არიან: ქორდი: და: ბადასშვილნი: · და: რაცა სად რა: · ანუ: მთას: და: და: ანუ: · ბარს: · ზღვარნი: გლეხნი: · და: პარტახტნი: ჰქონან: · ყანითა: ვენაკითა: · წყლითა: · წისქუილითა: · ჭალითა: სათიბითა: · ტყითა: · სანადირითა: · საკმრითა: · და: უკმრითა: მისითა: · საძებრითა: და: უძებრითა: · ყუალათა: · ყ დვე: · უნაკლულოდ: · არას: ჟამისა: · შემოსრულობისა: და. გამოცვალებისათუის: · არ: · მოგეშალოს: · და: ვერავინ: · იკადროს: · ამისად: სარჩლად: და: ცილებად: · ვითა: · ჩუენთა: · მომავალთა: · მეფეთაგან: · აღშენებულისა: · და: გადიდებულისა: და: პატივცე ულისა: · და: · აწ: · ჩუენგან: · ახლად: · შემოწირულისა: · და: სამკუიდროდ: მოკსენებულისა: დაცილება: · არავის: · მართებს: · აგრე: · და: · ვინცა: · დაგეცილოს: პირნი: · და: პასუხისა: გამცემნი: ჩუენ: ვართ: · და: ვირშისა: · მთისა: და: მონასტრისა: და: მისთა: შესავალთა: · ვითა: · არვინ: · ღირსა: · ყოვლისა: კაცისაგან: · უაჯო:: არის: · და: დაღათუ ვისმე: · შემოტყუვილითა: · ანუ: მამული: და: · ანუ: გლეხი: · და: ანუ: · ზღვარი: და: ყანა: და: ვენაკი: დიდი: გინდა: მცირე: გამუეაჯოს: იგი: ყუალა: · ამა: დაწერილითა: გაგუიცუდებია: · და: მტკიცე: · ესეოდენ: · არის: · ამა: · ვირშისა: · სახლისა: ულუფა: · ძუელითგანვე: ჩუენთა: · მომავალთა: · მეფეთაგან: · ამოკუეთილი: და: გაშუებული: არის: · და: · მასაქათ: · როგორცა: · სხუანი: · მცხეთისა: მაშულნი: · შეუვალნი: · არიან: · აგრეეე: · ესე: შ ეუვლად: · და: თარხნად: · მოგუიკსენებია: · და: არასთანა: · საოხოვარი: · არაოდეს: · ეთხოებოდეს: · აწ: · ვინცა: · ნახოთ: · ბ ბა: და: · სიგელი: ·

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესე: ჩუენი: შემდგომად: ჩუენსა: მომავალთა: მეფეთა: და დედოფალთა: ერისთავთა: ერისთავთა: და: კარისა: ჩუენისა: ვაზირთა: და: მოურავთა: მეჯინიბეთა: მერემაეთა: მპარავთმეძებართა: ბაზიარია: მეულუფეთა: მეულაყეთა: მესაბანჯრეთა: და: ყოველთავე: კარით: ჩუენით: წარვლენილთა: მოსამსახურეთა: დიდთა: და: მცირეთა: დაუმტკიცეთ: და: ნუვინ: უშალავთ: სასოებით: და: მტკიცედ: მოკსენებულსა: ამას: ჩუენსა: და: ნუ კავინ: იკადრებთ: დაკლებად: ნუ: დიდი: და: ნუ: მცირე: თუინიერ: თანა: დგომისა: და: შემატებისაგან: კიდე: და: ვინცა: რამანცა: კაცმან: ანუ: ჩუენთა: მომავალთაგან: და: ანუ: სხუისა: გუარისამან: ამისად: მოშლად: კელყოთ: ჩუენთამცა: ბრალთა: და: ცოდვათათუის: პასუხს: მიმცემელ: თქუენ: იქნებით: პასუხის: მიმცემელ: წინაშე: ღთისა: დაიწერა: ბბა: და: სიგელი: ესე: ქკნსა: რით: ინდიკჯიონსა: მეფობისა: ჩუენისასა: ით: კელითა: კარის: მწიგნობრისა: ჩუენისა: კლიმი: კაკლაჩასძისათა: თქუენ: კათალიკოზი: თეოდორე: ამას: შემოგუპირდი: რომე: ოკდომბერსა: ოცდაერთსა: ამირეჯიბისა: მიცვალებისა: დღესა: ყოვლთა: წელიწადთა: წლითიწლად: ამირეჯიბისათუის: ღთივ: აღმართებულსა: სუეტსა: ცხოველსა: წინაშე: კარგაღებული: აღაპი: გარდიკდებოდეს: ესრეთ: რომე: არნიცა: მცხეთას: მღრდელნი: და: მონაზონნი: იყუნენ: მწირველნი: ამირეჯიბისათუის: ჟმსა: წირევდენ: და: ტრაპეზს: შევიდოდენ: და: დედაბერთათუის: და: გლახაკთათუის: კარი: ღია: იყოს: და: ვითარი: ჯერიყოს: ეგევითა: სანოვაგითა: აღაპი: გარდიკდებოდეს: ესე: სადამდის: ღთსა: ენებოს: და: თქუენ: ამოდ: და: უვნებელად: ეგნეთ: თქუენ: პატრონი: კათალიკოზი: თეოდორე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულ: დაკლებთ:· და:· წილითი:· წლად:· გარდიკდიდეთ:· და:· შემდგომად:· თქუენსა:· ვინცა:· კათალიკოზნი:· დაიდგინენ:· მათგანცა:· ყოველთა: წელიწადთა:· ესრეთ:· გარდიკდებოდეს:· და: ნუმცავისგან:· დაგუაკლდების:·

ხვეულად: ქ: დაგვიმტკიცებია

კიდევ ბეჭედი წარწერით: მონა ღთისა ალექსანდრე, რომელიც შესაძლებელია ეკუთვნოდეს კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს († 1605 წ.)

ამ სიგლით ალექსანდრე მეფეს სვეტისცხოვლისათვის მოუხსენებია „ძუელითგან ჩუენთა მომავალთა მეფეთაგან გადიდებული და შემკობილი ვირშა“ და მოუსურვებია „დამკუიდრებად სამკუიდრებელსა თანა სულკურთხეულთა პაპათა და მომავალთა ჩვენთათა“. აქედან სჩანს, რომ სვეტისცხოველი ყოფილა სამკვიდრებელი ალექსანდრეს წინაპართა და პაპათა. ეს გარემოება ჩემის აზრით იმისი მაჩვენებელია, რომ ალექსანდრეს მამა და პაპა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ, წინაამღდეგ 'მემთხვევაში თუ კი ალექსანდრეს მამა და პაპა აფხაზეთის სამეფოს სახლის წევრნი ყოფილიყვნენ, მათ წინაპართა საფლავი მცხეთა არ იქნებოდა.

ამ გვარად გამოდის, რომ გიორგი VIII, ბიძა ალექსანდრე მეფისა, რომელიც გამეფდა 1375 წ. და მოკლულიქმნა 1406 წ., იმავე სამეფოს შტოს წარმომადგენელია, რომლისაც უნდა ყოფილიყო მისი თანამედროვე სხვა გიორგი მეფე, 1393 წლის სიგელში მცხეთის ტაძრისთვის მეტეხის შემწირველი. რა ნათესაობითი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო ამ ორის მეფის შორის? სანამდის ეს საკითხი გაურკვეველია, მანამდის უცნაურად სჩანს ერთსა და იმავე დროს ორი საქართველოს მეფის არსებობა. ამ საკითხს აშუქებს ერთი საბუთი მცხეთისა № 612, ტყავზე დაწერილი კათალიკოზის ელიოზის დროს (1399—1419). ტყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი გადარეცხილია, ეტყობა უწინ სხვა ტექსტი ყოფილა მხედრულად დაწერილი. ზომა სიგელისა 55×11⁴/₅ სანტმ. აი ეს სიგელი სრულიად უცვლელად, რომელიც შემოკლებით დაბეჭდილი იყო „ქრონიკებში“ II, 218.

ქ: სახელითა: ღ᾽თისათა: მამისა: ძისა: და: სულისა: წმიდისათა: და: მეოხებითა: ყ᾽დ: წმიდისა: ღ᾽თის: მშობელისათა: სვეტისა: ცხოველისა: კუართისა: საუფლოსა: მირონ: ღ᾽თ: მყოფელისათა: თავდებობითა: წმიდათა: მთავარანგელოზთა: მიქაელ: და: გაბრიელისითა: თავსდებობითა: ყოველთა: წმიდათა: ღ᾽თისათა: ზეცისა: და: ქუეყანისათა: კორციელთა: და: უკორთა: ჩუენ: ქრისტეს: ღ᾽თისა: მიერ: კურთხეულმან: კ᾽ზმან ელიოზ: ესე წყალობისა: წიგნი: და: სიგელი: გიბოძეთ: თქუენ: ცხეოსნისძეთა: იოვანეს: და: ინანასა: და: ოქროპირსა: ასრე: და: ამა: პირსა: ზედა: გიბოძეთ: შენივე: ძველად: ნაქონები: გარდასხვაებული: მამული: დიდისა: მეფეთ: მეფისა: ბაგრატისა: და: მეფეთ: მეფისა: გიორგის: დამან: ახლად: ყოვლადვე: მოგაკსენე: ჩემთ: ძმათ: საღაპე: დ: თქუენ: მცხეთისშვილთა: იოანეს: პროკოპის: და: ინანასა გქონდეს: და: გიბედნიეროს: ღ᾽ნ: შვილთა: და: მომავალთა: სახლისა: თქუენისათა: ყოველთაჳ: ამან: ბუკურისძესა მოგუიცემია: ნ.სყიდობითა: წყლითა: წისქუილითა: ნაფუძრითა: მთ.ითა: ბარითა: ჭალითა: მისისა: სამართლიანითა: აღარაოდეს: მოგიშალოს: არა: ჩუენგან: და: არა: სხვათა: კ᾽ზთაგან: ვინცა: მოგეშალოს: რისხავს: თავად: ღ᾽თი: და: მერმე: სვეტი: ცხოველი: ამას: გარდა: ქადაგანთაგნ: დაწინდული: ექვსის: კაცით: საბარი: ვენაკი: თევდორე: ცხეოსიძემან: [დაიკ]სნა:

+ კ᾽ზი

სხვა ხელით: ესე: სიგელი: თამარ: დედოფლის: ჟმისა იყო:
და: ახლად: გამოვცვალეთ - - -

როგორც ამ სიგლიდან სჩანს, პირველად თავისი ძმების საალაპედ მამული დაუდვია „მეფეთ მეფისა ბაგრატისა და მეფეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისა გიორგისა დას“ და შემდეგ ეს დადგენილება დაუმტკიცებია კათალიკოზს ელიოზს. ბოლო მინაწერიდან, რომელიც შესაძლებელია თვით კათალიკოზს ელიოზს ეკუთვნოდეს, საგულისხმებელია, რომ ბაგრატისა და გიორგი მეფების და უნდა ყოფილიყო თამარ დედოფალი. ყოველს შემთხვევაში ჩვენთვის ფრიად საინტერესოა, რომ მე-XIV საუკუნეში, როგორც საფიქრებელია, აღმოსავლეთ საქართველოში —განჩინებას ამტკიცებს ქართლის კათოლიკოზი ელიოზ— ყოფილან ძმები მეფეები ბაგრატ და გიორგი. ეს ბაგრატი უნდა იყოს პაპა ალექსანდრესი, რომელიც მეფობდა 1375 წლამდი და ძმა მისი გიორგი 1393 წლის ზემოდ მოყვანილ სიგლის მბოძებელი, რომელიც ტახტზედ დამჯდარა 1369 წელს. ის გარემოება, რომ აღაპის დამდებელი თავის თავს უწოდებს ჯერ ბაგრატისა და შემდეგ გიორგის დად, უნდა გვიჩვენებდეს, რომ ბაგრატ იყო უფროსი ძმა. რაკი გიორგი მეფე გამეფებულა 1369 წელს, ბაგრატის გამეფებაც ამ წელს უნდა მიეუთვნოს. ამ 1369 წელსვე მიიცვალა ალბად მამა მათი. ვინ უნდა ყოფილა ბაგრატ და გიორგი მეფეების მამა? მე-XIV საუკუნის ნახევარში საქართველოში მეფობს დავით, გიორგი ბრწყინვალის შვილი. ვახუშტის კიდეც უნახავს ამ დავით მეფის ორი სიგელი 1354 და 1355 წლისა *). 1355 წლის სიგელმა ჩვენამდისაც მოაღწია **). დავით მეფის სიკვდილის დროს შესახებ ვახუშტის ნამდვილი ცნობა არ ქონდა, მაგრამ ვახუშტიმ იპოვა ქრონიკული ცნობა, 49 ქორონიკონს (1360—1361 წ. 1 სექტემ) დიდის ბაგრატისგან სვანთა მოწყვეტის შესახებ. „ქორონიკონს 49, მზე დაბნელდა და სვანთა ქუთათისი დასწვეს· დიდმან ბაგრატ მეფემან მოსწყვიტნა და დაიპყრნა და თურქთ სამცხე მოარბიეს“. ***) ეს დიდი

*) ქართ. ც-ბა, II, 238.

**) ქრონიკ. II, 185. ორი ამ მეფის სიგელი დაბეჭდილია კიდევ შეცდომებით „საქარ. სიძველ.“ II ტ. 9—10.

***) ქართ. ც-ბა II, 238. შეადარე გვ. 3 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ ქორონიკულ ცნობით „გარდახდა“ 83 ქორონიკონს (1394—1395 1 სექტ.) ეს ის ბაგრატია, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა თემურლენგს. რადგან ამ ცნობათა მიხედვით ბაგრატ მეფე ქუთაისის პატრონია და იმავე დროს თემურლენგის ბრძოლაში აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისის პატრონი, ამიტომ ვახუშტის შეეძლო რასაკვირველია დაესკვნა, რომ ბაგრატი 1361 წლიდან საქართველოს მეფედ უნდა ყოფილიყო. მაშასადამე ამ ანგარიშით დავით მეფის სიკვდილი მოდის დაახლოებით 1360 წელს, რაც ვახუშტიმ კიდეც მიიღო თავისს ქრონოლოგიურ სხემაში. ნამდვილად კი დავით მეფე ცოცხალი ყოფილა 1360 წლის შემდეგაც. ამისი ცხადი საბუთია ერთი პატარა ოქმი ამ მეფისა ბოძებული 1364 წ. 31 დეკემბერს. ეს ოქმი დაწერილია ქაღალდზე და მიჩვენა მე პ. კარბელაშვილმა ამ სამი წლის წინად.

ქ ჩუენ მეფეთა მეფესა დავითს ესე ბ˝ბაი ამისად ნიშნად გუიბოძებია ეზოს ჩუხჩერახო პიპია, გორის ქიზიყელისეული მამული შენთუის გუიბოძებია სამართლიანად გასყიდული და დაწინდულიც ყველა შენ მოიკლე და გქონდეს ერთგულად სამსახურსა შიგა მეფობისა ჩუენისასა ურდოს ლაშქარს შინა და გარე ყველგან. დაიწერა ბ˝ბაი ესე ქ˝ნსა ნგ დეკენბერსა ლა, ქელითა კარისა მწიგნობრისა ჩუენისა ჭურისძისა. ხვეულად ამტკიცებს მეფე.

ამ გვარად 1364 წლის მიწურულს დავით მეფე კიდევ ცოცხალია. რაკი მისი მემკვიდრე ბაგრატ მეფე, როგორც დავინახეთ, 1369 წ. გამეფებულა, მაშასადამე დავით მეფის სიკვდილის წლად 1369 წ. უნდა დაიდვას.

ახლა საჭიროა გამოირკვეს, ვინ უნდა იყოს ის ბაგრატ მეფე, რომელიც მიღებულის ტრადიციით 1395 წლამდის საქართველოს განაგებდა. ეს ბაგრატ 1361 წ. აჯანყებულს სვანებს ამშვიდებს. 1367 წ. ირთავს ტრაპეზუნტის მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალს. ტრაპეზუნტის სამეფო სახლის მექრონიკე მას უწოდებს ივერთა და აფხაზთა მეფეს. 1385 წ. ის ტყვედ უვარდება თავის ცოლთან ანნა დედოფალთან ერთად ტფილისის აღების დროს თემურლენგს და 1395 წ. კვდება ტყვეობიდან განთავისუფლებული. ბაგრატის საქართველოში მეფობის შესახებ აზრის განმტკიცებას ეჭვს გარეშეა ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ტფილისის აღების დროს 1385 წ. თემურლენგს სწორედ ის ჩაუვარდა ხელში. მაგრამ ეს გარემოება თავის თავად, ჩემის აზრით, სრულიადაც არ უნდა იყოს იმის დამამტკიცებელი, რომ ბაგრატ ამ დროს მთელს საქართველოს ფლობდა. უტყუარი საბუთები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს ბატონი ამ დროს სხვა მეფე—გიორგი VIII იყო. ისიც უკვე ვნახეთ, რომ ეს ბაგრატ მეფე იმ სამეფო შტოს არ ეკუთნოდა, რომელსაც ეკუთნოდა გიორგი VIII და მისი ძმა კოსტანტინე მეფე. რაკი ესენი მკვიდრნი აღმოსავლეთ საქართველოს ბატონები იყვნენ, ცხადია ბაგრატ მეფე, 1395 წ. გარდაცვლილი, უნდა ყოფილიყო მეორე ბაგრატიონთა დინასტიისა, სახელდობრ აფხაზეთის სამეფო შტოსი. ამ აზრს ამტკიცებს ის გარემოება, რომ 1361 წ. ქუთაისის დაწვის დროს სვანებზე გაილაშქრა სწორედ ამ ბაგრატ მეფემ. ცხადია, ის ქუთაისის ბატონი უნდა ყოფილიყო. მიქაელ ფანარეტის ქრონიკაც მას აფხაზეთის მეფედ იხსენიებს. ის გარემოება, რომ თემურლენგის შემოსევის დროს აფხაზეთის მეფე ბაგრატ ტფილისში მოყვა, ადვილი გასაგებია, თუ მიკიღებთ მხედველობაში საქართველოს ორი უმთავრეს სამეფოს—საქართველოსა და აფხაზეთის—გაერთიანებას მე-XIV საუკ. მეორე ნახევარში. როდის მოხდა ეს გაერთიანება ამას მე ცალკე წერილში შევეხები, ახლა კი საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ გიორგი მეფე, გიორგი VIII-ს ბიძა, 1393 წლის ზემოდ დაბეჭდილ სიგელში თავისს ტიტულატურაში ხმარობს ფრიად საყურადღებო ფორმულას, რომელიც იმის შემდეგ 200 წლის განმავლობაში ჩვეულებრივ მოვლენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდება ქართველ მეფების სიგელებში. გიორგი მეფე თავის თავზე ამბობს: „ჩუენ... განმაერთებელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისამან ორისავე სამეფოსა მტკიცედ და შეურყეველად მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფემან გიორგი“. ზემოდ მოყვანილ სამი ოქმიდან ცხადი იყო, რომ გიორგი VIII დასავლეთს საქართველოსაც ფლობს. ერთის სიტყვით, თემურლენგის შემოსევათა დროს საქართველოს გაერთიანება შესრულებული საქმე იყო. ასეთს პირობებში გასაკვირველად არ უნდა ჩაითვალოს, თუ ბაგრა ტაფხაზეთის სამეფო დინასტიის წარმომადგენელი მეფე, ვითარცა ვასალი გიორგი VIII-სა თემურლენგს ტფილისში დახვედროდეს. ყველა ზემოდ მოყვანილ საბუთებისა და მოსაზრებისა გამო შთამომავლობითი შტო დიდის ალექსანდრე მეფის წინაპართა შემდეგ ნაირად გვეხატება:



Тбилисский Филиал
Библиотека

ეროვნული
ბიბლიოთეკა